

# კალიფორნიის სამოსამართლო ქცევის კომისიის 2001-2014 წლების პრაქტიკა

## (დისციპლინურ გადაცდომათა ფაბულები<sup>1</sup>)

### საქმე 1

მოსამართლემ იცრუა მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად მის მიერ შევსებულ კითხვარში. მან მიუთითა, რომ დაამთავრა უნივერსიტეტები, სადაც მას რეალურად არ უსწავლია. ასევე არასწორად მიუთითა იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლების წლები. მან იცრუა თავისი კოლეგების წინაშე, რომ ის იყო ვიეტნამის ომის ვეტერანი (ეს ინფორმაცია მხედველობაში იქნა მიღებული მისი მოსამართლედ დანიშვნის დროს) ასევე განცხადებაში მიუთითა, რომ ის მუშაობდა იურიდიულ ფირმაში, სადაც მას რეალურად არ უმუშავია. მან ასევე იცრუა კოლეგასთან, რომ მსახურობდა ვიეტნამში და მიიღო სპეციალური სამხედრო ორდენი. ეს ინფორმაცია გავრცელდა საჯაროდ მისი მოსამართლედ დანიშვნის ცერემონიაზე. მან ასევე იცრუა კომისიის წინაშე, როდესაც განაცხადა, რომ ის იყო ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის აგენტი და მონაწილეობა ჰქონდა მიღებული სხვადასხვა მისიებში.

### საქმე 2

მოსამართლემ შეითავსა პროკურორის ფუნქციები, ბრალი წარუდგინა და წინასწარი პატიმრობა შეუფარდა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო პასუხისმგებლობაში მიცემულ პირს (გადაწყვეტილებას საფუძველად დაუდო მხარის მიერ ყალბი მტკიცებულების წარმოდგენა ავტომანქანის დაზღვევის თაობაზე). მოსამართლემ ასევე დაარღვია მისი კონსტიტუციური უფლებები: უფლება ადვოკატზე და უფლება საქმის განხილვაზე. მოსამართლემ დაურეკა და ცალმხრივად ესაუბრა ბრალდებულს სისხლის სამართლის საქმეზე. მან ასევე სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხა ბრალდებული ადვოკატის გარეშე (მიუხედავად იმისა, რომ ის ითხოვდა ადვოკატს) და მისგან მოიპოვა აღიარებითი ჩვენება. მან ბრალდებული დაადანაშაულა სიცრუეში. პირდაპირ სატელევიზიო ეთერში კომენტარი გააკეთა განხილვაში მყოფ არასრულწლოვანის საქმეზე (თუმცა არასრულწლოვანის ვინაობა არ გაუმხელია, მაგრამ საქმის დეტალები იძლეოდა ამოცნობის საშუალებას). მანვე დაარღვია კალიფორნიის ეთიკის კოდექსი, იმით, რომ შეასრულა კერძო არბიტრის ფუნქციები სატელევიზიო შოუში სახელწოდებით "მოძრაგი სასამართლო", რომელშიც ის იხილავდა რეალურ საქმეებს.

### საქმე 3

მოსამართლემ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გამოყენებით, სასამართლო პერსონალის მეშვეობით მონაცემთა ბაზიდან გამოითხოვა ინფორმაცია იმ მძღოლის შესახებ, რომელმაც დაარღვია საგზაო წესები და მოსამართლეს შეუქმნა საფრთხე მანქანის მართვისას. მოსამართლემ გადარეკა პოლიციაში და მოთხოვა ამ მძღოლის მიმართ გაფრთხილების გამოყენება. მოსამართლემ თავი იმართლა იმით, რომ ის მოქმედებდა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით. კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლე მოქმედებდა პირადი მოტივით,

<sup>1</sup> აღნიშნული მიმოხილვა ასახავს მხოლოდ იმ გადაცდომებს, რომლებზეც კომისიამ მიიღო საჯარო გადაწყვეტილება (თანამდებობიდან გათავისუფლების, საჯარო გაკიცხვის ან საჯარო საყვედურის ფორმით). გადაწყვეტილებები განზოგადებულია სადისციპლინო კოლეგიის წევრის კ. წიქარიშვილის მიერ.

არაკეთილსინდისიერად და არა სასამართლო უფლებების განხორციელების მიზნით. ეს მოსამართლე ადრეც იყო სახდელ დადებული ანალოგიური ქმედებისათვის.

მოსამართლემ მაღალი თანამდებობის სასამართლო მოხელეს სხვა მოხელეთა თანდასწრებით ან მათ გასაგონად მოუყვა უხამსი ანეგდოტი (ორალურ სექსთან დაკავშირებით)

მოსამართლემ გამოიყენა სამსახურეობრივი უფლებამოსილება, რათა დაეჩქარებინა მისი ქალიშვილის საქმე, რომელიც იხილებოდა მის სასამართლოში (სასამართლო პერსონალს დაავალა, რომ კონკრეტული თარიღისათვის მომხდარიყო მისი ჩანიშვნა)

მას შემდეგ რაც მოსამართლემ თავად აიცილა საქმის განხილვა, მან ამ საქმის განხილვისთვის თავად შეარჩია კონკრეტული მოსამართლე (ნაცვლად იმისა, რომ განაწილება მომხდარიყო ჩვეულებრივ შემთხვევითი წესით)

მოსამართლემ პირობით მსჯავრდებულის საქმის წარმოებისას ცალმხრივად მისწერა ბრალდებულს პროცესუალურ საკითხთან დაკავშირებით, ისე რომ არ აცნობა არც ადვოკატს და არც პროკურორს.

მოსამართლემ ურჩია მეგობრის შვილს, შეეტანა საჩივარი პირობითი მსჯავრის გაუქმების თაობაზე, შემდეგ თავად დაიწერა, განიხილა და დააკმაყოფილა საჩივარი. მან არ გაამხილა, რომ ცალმხრივი კომუნიკაცია ჰქონდა მსჯავრდებულთან.

მოსამართლემ სამართლებრივი რჩევები მისცა მხარეს (ოღონდ არა მის წარმოებაში არსებულ საქმეზე) და სასამართლო პერსონალს, მოსამართლეს დააჩქარებინა განცხადების განხილვა.

მოსამართლემ მას შემდეგ რაც აიცილა სისხლის სამართლის საქმე, კომუნიკაცია დაამყარა თავის შემცვლელ მოსამართლესთან საქმის არსთან დაკავშირებით და აუხსნა მიზეზები თუ რატომ დაადგინა გირაოს კონკრეტული თანხა.

#### **საქმე 4**

მოსამართლემ სამართლებრივი პროცედურების დარღვევით, საქმის განაწილების სისტემის გვერდის ავლით და სხდომის ჩატარების გარეშე თავის ნაცნობებს მოუხსნა ადმინისტრაციული ჯარიმები (სიჩქარის გადამეტების გამო, 4 ეპიზოდი)

მოსამართლე დაუკავშირდა თავის კოლეგას და მას მიაწოდა მნიშვნელოვანი ფაქტები, ამ უკანასკნელის წარმოებაში არსებულ საქმეზე, რომლის ერთ-ერთი მხარე ადრე საადვოკატო საქმიანობის დროს მოსამართლის კლიენტს წარმოადგენდა

მოსამართლემ დაურეკა თავის კოლეგას და მოიკითხა ამ უკანასკნელის წარმოებაში არსებული საქმე (ჯარიმის აღსრულების თაობაზე), რომელიც მის ნათესავს შეეხებოდა. ასევე უთხრა, რომ მისის ნათესავი იყო საზოგადოების აქტიური წევრი. კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლის ეს ქმედება ქმნიდა საქმეზე ზეგავლენის მცდელობის შთაბეჭდილებას.

მოსამართლე ესტუმრა თავის კოლეგას და სთხოვა მას მისი ნაცნობის მიმართ არასაპატიმრო აღკვეთი ღონისძიების გამოყენება. სანქციის შეფარდებისას კომისიამ სხვა ფაქტორებთან ერთად მხედველობაში მიიღო მოსამართლის გადაცდომების განგრძობადი, განმეორებითი ხასიათი და ის ფაქტი, რომ მოსამართლე ვერ აცნობიერებდა საკუთარი ქმედების სიმძიმეს.

#### **საქმე 5**

მას შემდეგ, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დამწყები პროკურორის შუამდგომლობა (ბრალდებულის მიერ დაკავების დროს მიცემულ ჩვენების დასაშვებ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე) მან პროკურორს განუმარტა, რომ შუამდგომლობა კანონიერი იყო, მაგრამ ის განგებ არ

დააკმაყოფილა, რათა ენახა პროკურორის რეაქცია და თუ რა გზებით გააგრძელებდა ის ბრალდების მხარდაჭერას. კომისიამ ჩათვალა, რომ ეს ქმედება ხელყოფდა სასამართლოს ავტორიტეტს.

მოსამართლე ნაფიც მსაჯულთა თვალწინ აგრესიულად ექცეოდა დამცველს და ნეგატიურად აფასებდა მის საუნივერსიტეტო განათლებას (მოსამართლის სიტყვებია - არაპირდაპირი მტკიცების შესახებ არ გისწავლიათ იურიდიულ ფაკულტეტზე)

მოსამართლემ დასცინა პროკურორს და დააკნინა მისი სტრატეგია ნაფიც მსაჯულთა თვალში (თქვენ გინდათ ნაფიც მსაჯულებს ნახევარი სიმართლე უთხრათ?) კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლე გამოვიდა ნეიტრალური არბიტრის როლიდან.

მოსამართლემ დარბაზის თვალწინ კომენტარი გააკეთა დამცველის აქცენტზე და ურჩია კარგი იქნებოდა თუ გამოასწორებდა (სამხრეთ ამერიკულ აქცენტზე)

კომისიამ ჩათვალა, რომ კომენტარი ეხებოდა დამცველის ეთნიკურ წარმომავლობას და შეიძლება აღქმული ყოფილიყო, როგორც მოსამართლის ნეგატიური დამოკიდებულება მხარის ეთნიკური კუთვნილების მიმართ. კომისიამ ასევე დაადგინა, რომ დამცველი საუბრობდა გასაგები ინგლისურით.

მოსამართლემ მსაჯულთა თვალწინ პროცესზე გააკრიტიკა დამწყები პროკურორი მისი უცოდინრობის გამო (ჰკითხა თუ რომელი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, ასევე უთხრა, რომ ის არღვევდა კანონს). კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლემ დაარღვია მოთმინებისა და თავაზიანობის ვალდებულება და შექმნა შთაბეჭდილება, რომ ის ვერ შეძლებდა საქმის მიუკერძოებელ და ნეიტრალურ განხილვას.

მას შემდეგ რაც გაარკვია, რომ მხარეები დარბაზში არ იმყოფებიან, მოსამართლე გაუბრაზდა კლერკს და საქმეები ძირს გადაუყარა.

მოსამართლე ეჩხუბა კლერკს მხარეების თვალწინ, იმის გამო, რომ აკარგვინებდა დროს უსარგებლო პროცედურებისათვის.

მოსამართლემ სასამართლოს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი დარბაზის თვალწინ გაკიცხა და დაამცირა იმის გამო, რომ არ ჰყავდათ მოყვანილი პატიმარი (ისე, რომ მოსამართლეს არ გამოურკვევია პატიმრის წარმოუდგენლობის მიზეზი ან თანამშრომლის ბრალი პატიმრის წარმოუდგენლობაში)

მოსამართლეს ადრე ჰქონდა მიღებული გაფრთხილება სასამართლო პერსონალის უპატივცემულობისათვის

მოსამართლემ ნაფიც მსაჯულთა თავმჯდომარე გააკრიტიკა მის მიერ დასმული შეკითხვების გამო, რომელიც მისი აზრით ცუდი ინგლისურით იყო ფორმულირებული და შეარცხვინა ნაფიც მსაჯულთა თვალში.

## **საქმე 6**

არ დადასტურდა, რომ მოსამართლე უკანა თარიღით ათარიღებდა განაჩენებს, რათა დაემალა საქმის წარმოების გაჭიანურება.

მოსამართლეს მოუწესრიგებელი ჰქონდა კანცელარია, რის გამოც ხშირად იკარგებოდა დოკუმენტები.

მოსამართლე წლობით აგვიანებდა ხელმოწერილი ბრძანებების კანცელარიისთვის გადაცემას.

მოსამართლემ არ ითანამშრომლა სასამართლოს თავმჯდომარესთან, რომლის ფუნქციაა სასამართლოში საქმის სწრაფად განხილვის უზრუნველყოფა. მოსამართლემ დაკარგა რა საქმის მასალები სამოქალაქო საქმე არსებითად ხელახლა განიხილა სარჩელის შემოტანიდან ექვსი წლის შემდეგ.

მოსამართლემ ხელფასის მისაღებად ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომლის თანახმად მას წარმოებაში არ ჰქონდა არცერთი საქმე 90 დღეზე მეტი ვადით (კალიფორნიის კანონმდებლობით მოსამართლე ვერ მიიღებს ხელფას თუ მას აქვს წარმოებაში გადაუწყვეტელი საქმე 90 დღეზე მეტი ვადით). მოსამართლემ ეს გააკეთა იმის წინასწარი შეცნობით, რომ მის წარმოებაში იყო 4 საქმე განხილვის 90 დღიანი ვადის დარღვევით.

მოსამართლემ თვეობით დააგვიანა მხარეთა შუამდგომლობებზე პასუხის გაცემა და შესაბამისი განჩინებები მიიღო მხოლოდ თავმჯდომარის შეხსენების შემდეგ.

მოსამართლემ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას თავისი ინიციატივით (მესამე პირთან კომუნიკაციის მეშვეობით) მოიპოვა საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია (ბრალდების მთავარი მოწმის სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე), რომელიც არ გაუმხილა მხარეებს და მხედველობაში მიიღო სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისას.

მოსამართლემ სისხლის სამართლის საქმეზე თავისი ინიციატივით დაურეკა მოწმეს და გამოკითხა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები (კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლე გამოვიდა ნეიტრალური არბიტრის როლიდან და მხარის სასარგებლოდ ჩაერთო საქმეში)

სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მოსამართლემ ურჩია პროკურორს საქმის გადაკვალიფიცირება (განზრახ მკვლელობიდან გაუფრთხილებელზე), როდესაც უარი მიიღო ის შეეცადა დაერწმუნებინა მისი ზედამხედველი პროკურორი.

მოსამართლე ცალმხრივად შეხვდა დაზარალებულ მხარეს აუხსნა ბრალდების იურიდიული ასპექტები და ურჩია, რომ დათანხმებოდა კვალიფიკაციის შეცვლას.

დისციპლინური გამოკვლევის დროს მოსამართლემ არ გასცა წერილობითი პასუხი სამოსამართლო ქცევის კომისიის მიერ დასმულ შეკითხვებს.

## საქმე 7

მოსამართლემ ბრალდებულები ცნო დამნაშავედ გამოსაცდელი ვადის პირობების დარღვევისათვის და მიუსაჯა საპატიმრო სასჯელები, მათთვის კონსტიტუციური უფლებების, ბრალის არსის განმარტებისა და საქმის არსებითი განხილვის გარეშე. (მოსამართლემ მიუთითა, რომ მან ეს პრაქტიკა გადაიღო სხვა მოსამართლეებისგან, თუმცა კონკრეტული საქმეები ვერ დაასახელა). (8 ეპიზოდი)

კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლის ქმედება გასცდა სამართლებრივი შეცდომის ფარგლებს, ვინაიდან ხელყო ბრალდებულის კონსტიტუციური უფლება სამართლიან პროცესზე.

მოსამართლის მიერ დანიშნულ სასჯელთან დაკავშირებით დასმული შეკითხვების საპასუხოდ მოსამართლე ბრალდებულებს დაემუქრა სასჯელის გაზრდით, ხოლო ერთ შემთხვევაში რეალურად გაუზარდა სასჯელი, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. (6 ეპიზოდი)

მოსამართლე ბრალდებულებს ეკითხებოდა მიიღეს თუ არა მათ სიამოვნება სამართალდარღვევის (დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება) ჩადენისას, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მათ ადანაშაულებდა სიცრუეში. დადებითი ან უარყოფითი პასუხი გადამწყვეტ გავლენას ახდენდა სასჯელის დანიშვნაზე.

კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლე ავლენდა წინასწარ განწყობას საქმის მიმართ, ასევე კონფლიქტში შედიოდა ბრალდებულთან.

მოსამართლემ ნარკოტიკის მოხმარებაში ბრალდებულ პირებს სთავაზობდა მხოლოდ ორ ალტერნატივას - განრიდება (იძულებითი მკურნალობა) ან საპატიმრო სასჯელი. ის მათ არ უმარტავდა საქმის არსებითი განხილვის და ნაფიც მსაჯულთა სამართლებრივ უფლებას.

კომისიის განმარტებით, მოსამართლემ შექმნა გარემო, რომელშიც რთული იყო ამ კონსტიტუციური უფლების რეალიზაცია.

წვრილმანი დანაშაულის განხილვისას, რომელზეც არ გამოცხადდა ბრალდებული (თუმცა კანონი იძლეოდა საშუალებას გამოცხადებულიყო ბრალდებული დამცველთან ერთად) მოსამართლემ გასცა ბრალდებულის დაპატიმრების ბრძანება. (ამ საქმეში არ გამოცხადდა ასევე ბრალდებულის დამცველი). კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლე გასცდა უფლებამოსილების ფარგლებს და დაარღვია ბრალდებულის კონსტიტუციური უფლებები.

მოსამართლე ეხუმრებოდა განსასჯელებს დაკისრებულ სასჯელებთან დაკავშირებით (ციხეს ხომ არ ისურვებდით ჯარიმის სანაცვლოდ? რამდენ წელს ისურვებდით? ციხე გაქვთ ნანახი? ხომ არ ისურვებდით გენახა? აირჩიე რამდენი წელი გსურს), ასევე იყენებდა მიუღებელ ხუმრობებს ადვოკატებთან მიმართებაში. კომისიამ ჩათვალა, რომ სასჯელის დაკისრებისას მოსამართლის ხუმრობები იყო შეუფერებელი, უადგილო და სასამართლო ავტორიტეტის შემლახველი.

კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლე სერიოზულად არ აღიქვამდა მის დამსჯელობით უფლებამოსილებას. კომისიის აზრით მსჯავრდებულზე დაკისრებული სასჯელი არ შიძლება იუმორის საგანი გახდეს სხდომათა დარბაზში. ეს ხუმრობები არ უწყობდა ხელს ბრალდებულში პასუხისმგებლობის გრძობის გაღვივებას.

მოსამართლემ ადვოკატებს მიმართა მის წინააღმდეგ მიმართული დისციპლინური საქმის ასლების გადაცემა.

## **საქმე 8**

მოსამართლემ მოითხოვა ერთ კვირიანი მივლინება სემინარზე დასასწრებად, ის დაესწრო, მხოლოდ ორ სასემინარო დღეს, თუმცა მოითხოვა 4 დამის ხარჯის ანაზღაურება. მოსამართლემ, ასევე ფიცის ქვეშ მისცა ცრუ ჩვენება საქმის გამოძიებისას.

## **საქმე 9**

ყოფილი მოსამართლე ცნობილ იქნა დამნაშავედ მთელი რიგი ფინანსური დარღვევების გამო (მათ შორის ქონების დეკლარაციაში მონაცემების დამალვისათვის, ასევე სასამართლო პერსონალის დახმარებით პირადი მიზნებით შეაღწია ავტომანქანების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში და მოიპოვა კონკრეტული მანქანების მფლობელების შესახებ)

## **საქმე 10**

მოსამართლე შეხვდა თავის კოლეგას, რომელიც იხილავდა მისის შვილის საქმეს (საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის არიდების შესახებ). იმავე შენობაში, სადაც მუშაობდა მოსამართლე, საკუთარ კაბინეტში და უთხრა, რომ მისი სხვა სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებით ადვოკატი ვერ გამოცხადდებოდა სხდომაზე და აჩვენა საქმისათვის

მნიშვნელოვანი საბუთები. კომისიამ ჩათვალა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეს ზეგავლენა არ მოუხდენია შედეგებზე მან შექმნა ასეთი შთაბეჭდილება.

### **საქმე 11**

მოსამართლემ განსჯადობის დარღვევით თავის თავზე დაიწერა და განიხილა მისი სიძისა და მეგობრების საქმეები (8 ეპიზოდი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) და სხდომების ჩატარების გარეშე გაათავისუფლა ისინი ჯარიმების გადახდისაგან.

### **საქმე 12**

მოსამართლის მეუღლე დაჯარიმდა საგზაო წესების დარღვევის გამო. მოსამართლე შეეცადა ზეგავლენა მოეხდინა სასამართლოში საქმის განხილვის შედეგებზე, მოეხსნა ჯარიმის გადაუხდელობის გამო დაკისრებული საურავი. ამ მიზნით ის ესაუბრა კლერკს და საქმის განმხილველ მოსამართლეს. შედეგებზე ზეგავლენა ვერ მოახდინა, მაგრამ დააჩქარებინა საქმის განხილვის თარიღი. კომისიამ მხედველობაში მიიღო ის, რომ საქმე ეხებოდა მხოლოდ ერთ გადაცდომას, მოსამართლეს არასოდეს ჰქონია დისციპლინური სახდელი დაკისრებული, ის აცნობიერებდა მისი გადაცდომის სიმძიმეს.

### **საქმე 13**

მოსამართლემ დაარღვია საქმეთა გადაწყვეტის სამ თვიანი ვადა (ზოგ საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო 7-9 თვის შემდეგ). მანვე ხელფასის მისაღებად წარადგინა ყალბი ცნობა (განცხადება, თითქოს მას არ ჰქონდა წარმოებაში ვადაგადაცილებული საქმეები). კალიფორნიის კონსტიტუციის მე-4 მუხლის და მე-19 მუხლების თანახმად მოსამართლე ვერ მიიღებს ხელფასს თუ მას წარმოებაში აქვს საქმეების 3 თვეზე მეტი ვადით.

მანვე არ შეადგინა და არ დაუგზავნა მოსამართლეებს 30 დღეზე მეტი ვადით წარმოებაში არსებული საქმეების ნუსხა, რაც ევალებოდა, როგორც სასამართლოს თავმჯდომარეს სასამართლო წესების შესაბამისად.

### **საქმე 14**

მოსამართლემ დაარღვია კანონი პოლიტიკური რეფორმების შესახებ, კერძოდ მან არ განაცხადა რამდენიმე ფულადი შემოწირულობის შესახებ, რომელიც მიიღო წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას.

### **საქმე 15**

მოსამართლემ გაუპატიურებაში მსჯავრდებულ პირს მიუსაჯა ღმობიერი სასჯელი. სასჯელზე კომენტარის გაკეთებისას, მან ეს დაასაბუთა იმით, რომ დაზარალებულს მკვეთრი წინააღმდეგობა არ გაუწევია, რის გამოც ეს საქმე განსხვავდებოდა გაუპატიურების კლასიკური შემთხვევებისგან. მან ამის დასტურად მოიტანა თავისის საპროკურორო გამოცდილება.

კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლემ გამოხატა თავისი წინასწარი განწყობა გაუპატიურების იმ მსხვერპლთა მიმართ, რომლებიც აქტიურ წინააღმდეგობას არ უწევენ მოძალადეებს. მან ასევე

გამოავლინა, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას ხელმძღვანელობდა არამხოლოდ მტკიცებულებებით, არამედ საკუთარი ექსპერტული გამოცდილებით.

## **საქმე 16**

მოსამართლემ შემაკავებელი ორდერი გასცა ყოველგვარი სამართლებრივი წინაპირობის (მოთხოვნის, საქმის განხილვის, მხარეთა არგუმენტების მოსმენის) გარეშ. მხოლოდ იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მან შემთხვევით შეიტყო სამოქალაქო საქმის განხილვისას.

## **საქმე 17**

მოსამართლემ შემაკავებელი ორდერის საქმის განხილვისას მხარეებს გასაგონად განუცხადა, რომ ძალადობის ცალკეული მეთოდები დამახასიათებელია კონკრეტული ეთნიკური ჯგუფებისათვის (ქვის სროლა და შეფურთხება ახასიათებთ შუა აღმოსავლეთის მაცხოვრებლებს, ხოლო თმებით თრევა ლათინო ამერიკელებს). მოსამართლემ ასევე საქმის განხილვისას წინასწარ გამოხატა თავისი მოსაზრება ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე („საქმე იმაშია, რომ ბრალდებულმა დაზარალებულს შეაფურთხა, კისერში ხელებით წვდა, ხელით უბიძგა, და გაუნადგურა ძვირფასი ქონება“). კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლის მიერ საკუთარი სტერეოტიპების გამომჟღავნება ეთნიკური ჯგუფების ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებით შეუსაბამოა მართლმსაჯულების სამართლიან და მიუკერძოებელ განხორციელებასთან და არ იწვევს მართლმსაჯულების მიმართ ნდობას.

## **საქმე 18**

სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მოსამართლემ ბრალდებულის მოთხოვნით მოუხსნა დანიშნული დამცველი და მისცა უფლება საკუთარი თავი თავად დაეცვა. მას შემდეგ, რაც ბრალდებულმა წარმოადგინა 2 შუამდგომლობა, მოსამართლემ ბრალდებულს უთხრა, რომ მას არ სჯეროდა რომ შუამდგომლობები მის მიერ იყო შედგენილი. ბრალდებულმა განუცხადა, რომ თავად შეადგინა შუამდგომლობები. მოსამართლემ ჩათვალა, რომ ბრალდებული იტყუებოდა და მას გაუუქმა თვით დამცველი პირის სტატუსი. ეს განჩინება გააუქმა სააპელაციო სასამართლომ. კომისიამ ჩათვალა, რომ მოქმედი კანონმდებლობით ბრალდებულს აქვს უფლება თავი თვითონ დაიცვას, თუმცა მისი ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც ის განზრახ აჭიანურებს საქმის წარმოებას. კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლემ ბოროტად გამოიყენა უფლებამოსილება, განზრახ დაარღვია კანონი და ხელყო ბრალდებულისთვის კონსტიტუციის მე-6 შესწორებით მინიჭებული უფლება.

მოსამართლის მიერ მითითებული საფუძვლები (რომ ბრალდებულმა იცრუა მოსამართლის წინაშე და სარგებლობდა იურიდიული სამსახურის დახმარებით) ნამდვილობის შემთხვევაშიც კი ვერ გახდებოდა, მისი, როგორც თვით დამცველი პირის სტატუსის გაუქმების საფუძველი. საქმის მასალებში არსად იყო მითითებული, იმაზე, რომ ბრალდებული ცდილობდა საქმის გაჭიანურებას ან შეფერხებას. მოსამართლე ასევე უხეშად მოექცა ბრალდებულს და დაადანაშაულა ის სიცრუეში.

## საქმე 19

მას შემდეგ, რაც მოსამართლისთვის ცნობილი გახდა, რომ სასამართლო ფოიეში მოქალაქე ახორციელებდა ვიდეო გადაღებას, მოსამართლემ შეაჩერა საქმის განხილვა, გაიხადა მანტია, ორი მანდატურის თანხლებით მივიდა მოქალაქესთან და უთხრა გაყოლოდა დარბაზში, მისი საქმის განსახილველად. მოქალაქე არ დაემორჩილა, მოსამართლემ მანდატურს უბრძანა მისის დაკავება. სამის საათის შემდეგ ის გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლა. მეორე დღეს მოსამართლემ განიხილა მისი საქმე და ის დამნაშავედ სცნო სასამართლოს უპატივცემულობისათვის, მიუსაჯა 5 დღიანი პატიმრობა და ერთ წლიანი პირობითი მსჯავრი. კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლე გასცდა განსჯადობის ფარგლებს (მისი განსჯადობა არ ვრცელდებოდა დარბაზის გარეთ წესრიგის დარღვევაზე), ასევე დაარღვია სასამართლოს უპატივცემულობის საქმეთა განხილვის ფუნდამენტური წესები.

## საქმე 20

მოსამართლემ სამოქალაქო საქმის განხილვის დროს, მოწმის დაკითხვის დამთავრებამდე დატოვა დარბაზი, ისე, რომ მხარეებისთვის არ უთქვამს პროცესის გადადების ან შესვენების შესახებ. მხარეებმა მხოლოდ მეორე დღეს შეიტყვეს, რომ მტკიცებულების წარმოდგენა დასრულდა და მათ შეეძლოთ შემაჯამებელი არგუმენტების წერილობით წარმოდგენა. კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლემ დაარღვია მხარეთა უფლება სამართლიან პროცესზე.

მოსამართლემ მხარეებს მოსთხოვა დოკუმენტების წარმოდგენა, რომლებსაც შემხებლობა არ ჰქონდა განხილვაში არსებულ სამოქალაქო საქმესთან წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა სასამართლოს უპატივცემულობისთვის.

მოსამართლე რამდენჯერმე დაემუქრა ადვოკატს პროცესის ბათილად გამოცხადებით, უპატივცემულოდ და დამამცირებლად მიმართა მას კლიენტის თვალწინ.

## საქმე 21

(სხვა ეპიზოდებთან ერთად) მოსამართლემ თავისივე სხდომები (ზოგ შემთხვევაში მხარეების შეტყობინების გარეშე) კერძო პირს გადააღებინა ვიდეოზე და გამოიყენა პირადი მიზნებისათვის. გაუზიარა პროდიუსერს პოტენციური რეალითი შოუში მისი კანდიდატურის განსახილველად,

მოსამართლემ დარბაზში დამსწრე პირებს შორის ჩაატარა გამოკითხვა, იმის გასარკვევად თუ ვინ უჭერდა მხარს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას.

მოსამართლე უპატივცემულოდ, ცინიკურად მიმართავდა სასამართლო პერსონალს, მხარეებს (მრავალი ეპიზოდი), ბრალდებულს უთხრა, რომ ციხეში მისი ღიმილი მოეწონებოდათ, სასამართლო პერსონალს მოსამართლე მოიხსენიებდა კიტრებად, ხოლო თანაშემწეებზე ამბობდა, რომ მათ უმრავლესობას ორ ბატს ვერ მიაბარებ. კომისიამ აღნიშნა, რომ სასამართლო დარბაზში იუმორი დასაშვებია, მაგრამ ეს არ უნდა გადაიზარდოს შეურაცყოფაში, აბუჩად აგდებაში, ან შელახოს მართლმსაჯულების ღირსება.

## საქმე 22

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე თვითაცილების წესით ჩამოცილებული იყო საქმის განხილვისგან, მან თავისი ახლო მეგობრის სისხლის სამართლის საქმეზე ჩაატარა პირველადი წარდგენის სხდომა, დაუნიშნა სახაზინო დამცველი, ჩანიშნა აღკვეთის ღონისძიების სხდომის თარიღი, ჩამოვიდა დარბაზში და გადაეხვია ბრალდებულს. მოსამართლემ თავი იმართლა იმით,



რომ რთული იყო ახლო მდებარე სასამართლოებიდან სხვა მოსამართლის მოწვევა მცირე დროში. კომისიამ არ გაითვალისწინა მოსამართლის არგუმენტი, ჩათვალა, რომ სხდომის დაყოვნება არ გამოიწვევდა ბრალდებულის პატიმრობიდან გათავისუფლებას. ხოლო მოსამართლის მიერ სხდომის დარბაზში ბრალდებულისადმი გამოვლენილი ემოციური ჟესტი ქმნიდა მიკერძოებისა და არაწესიერების შთაბეჭდილებას.

მას შემდეგ რაც მოსამართლემ აიცვალა საქმე, მან მაინც ჩაატარა სხდომა ამ საქმეზე, თუმცა მას საქმე არსებითად არ განუხილავს, ბრალდებულს დაუნიშნა სხდომის თარიღი და დაიბარა სხვა სასამართლოში სხვა მოსამართლესთან.

ნაცვლად იმისა, რომ მოსამართლეს წვრილმან სამართალდარღვევათა საქმეები პერსონალური განსჯადობის გამო (ვინაიდან ბრალდებულები ცხოვრობდნენ სხვა ოლქში) გადააგზავნა სხვა სასამართლოში, მან ეს საქმეები შეწყვიტა. თუმცა შემდგომ ეს მისი განჩინებები გააუქმა სააპელაციო სასამართლომ. კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლემ შექმნა არაწესიერების და მიკერძოების შთაბეჭდილება.

სასამართლოს თავმჯდომარემ კლერკი და მანდატური სადილად წაიყვანა და სასამართლო დახურა რამდენიმე საათის განმავლობაში. რამაც გამოიწვია გარკვეული საქმეების შეფერხება. საოლქო სასამართლოს ადმინისტრატორის შეკითხვაზე კლერკის ქცევასთან დაკავშირებით, მოსამართლემ უპასუხა, რომ ის იყო კლერკის დამსაქმებელი და მას ამის უფლება ჰქონდა. კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლემ უგულვებლყო სასამართლოს ვალდებულება საზოგადოების წინაშე, შექმნა ფავორიტიზმის შთაბეჭდილება.

სისხლის სამართლის საქმეზე მოსამართლემ დარბაზის გასაგონად ჩაილაპარაკა - აი კიდევ პროკურატურის მიერ ზედმეტად წარდგენილი ბრალის ერთ-ერთი მაგალითი. კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლემ შექმნა პროკურატურის წინააღმდეგ მიკერძოების შთაბეჭდილება.

მოსამართლემ ნაფიც მსაჯულთა კანდიდატს, რომელსაც ის პირადად იცნობდა ნება დართო ქალაქის ქუდით გამოცხადებულიყო სასამართლოში, მოსამართლემ არ მოსთხოვა მას მოეხადა ქუდი.

### **საქმე 23**

მოსამართლემ ნასვამ მდგომარეობაში მოახდინა ავტო საგზაო შემთხვევა.

### **საქმე 24**

მოსამართლემ პროცესის დასრულების შემდეგ ადვოკატთან საუბრისას უხეშად მოიხსენია მისი კოლეგა – ”უუნაროა, ცხვირში თითების შეყოფის მეტს არაფერს აკეთებს”. მანვე ადვოკატებს ფოიეში მოუყვა უხამსი ანეგდოტი, რასაც ახორციელებდა უხამსი ჟესტებით.

ასევე მოსამართლემ სხვების გასაგონად დასცინა ერთ-ერთ ქალბატონ ადვოკატს გარეგნობის გამო.

### **საქმე 25**

მოსამართლე ავტომანქანას მართავდა ნასვამ მდგომარეობაში.

## საქმე 26

მოსამართლე 2 წლის განმავლობაში რეგულარულად ტოვებდა სასამართლოს ნაშუადღევს, საკუთარი სხდომების დამთავრების შემდეგ, სასამართლოს თავმჯდომარესთან შეთანხმების გარეშე. კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლემ დაარღვია კალიფორნიის სასამართლო წესები, რომლის თანახმადაც მოსამართლე ვალდებულია ნახევარი დღით ან მეტი ვადით სასამართლოს დატოვებისას სასამართლოს თავმჯდომარისგან ნებართვა მიიღოს გონივრული ვადით ადრე. კომისიამ მიუთითა, რომ მოსამართლის სამუშაო მხოლოდ ჩანიშნული სხდომებით არ შემოიფარგლება და მას სასამართლოში დღის განმავლობაში შეიძლება დაეწეროს სხვა საგანგებო დავალებებიც (მათ შორის მოსამართლის აცილებული საქმის განხილვა). კომისიამ ასევე მიუთითა, რომ მოსამართლე ხელფას იღებს სრულ განაკვეთზე.

## საქმე 27

სასამართლოს თავმჯდომარემ მოსამართლეს არ შეახსენა მის წარმოებაში არსებული გაჭიანურებული საქმეების არსებობა, არ შესთავაზა მას დახმარება. (რაც სასამართლო რეგლამენტით სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობაა)

სასამართლოს თავმჯდომარემ ასევე დროულად არ გამოიძია და გასცა პასუხი მოქალაქეთა საჩივრებზე საქმის გაჭიანურებასთან დაკავშირებით (რითაც არ შეასრულა სასამართლო რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნა)

## საქმე 28

მოსამართლემ თავისი პირადი კორესპონდენციის შედგენა და გაგზავნა დაავალა სასამართლოს კლერკს. (2 ეპიზოდი) რიტაც სასამართლო რესურსი გამოიყენა პირადი სარგებლობისათვის.

მოსამართლემ საფინანსო დაწესებულებებს მიმართა საჩივრის წერილით (სადაც ის უჩიოდა ფულის გადარიცხვის დაყოვნებას), რომელიც დაბეჭდილი იყო სასამართლოს ბლანკზე. კომისიამ ჩათვალა, რომ სასამართლოს ავტორიტეტი გამოიყენა პირადი ინტერესებისათვის.

მოსამართლემ არასამთავრობო ორგანიზაციას მისწერა პირადი ხასიათის წერილი, რომელიც დაბეჭდილი იყო ცარიელ ფურცელზე, თუმცა გამგზავნის მონაცემებად მითითებული იყო მოსამართლის თანამდებობა, სამსახურის ტელეფონი და მისამართი. კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლემ თანამდებობა გამოიყენა პირადი ინტერესებისთვის.

## საქმე 29

მოსამართლე, რომელიც იყო საქველმოქმედო ორგანიზაციის ხელმძღვანელი პერსონალურად მოითხოვა შემოწირულობები სასამართლო პერსონალის, ადვოკატებისა და ბიზნესმენებისგან. კომისიამ მიუთითა, რომ მოსამართლეს აქვს ქველმოქმედების უფლება, მაგრამ ეთიკის კოდექსი უკრძალავს შემოწირულობების მოთხოვნას.

მოსამართლემ თანაშემწე გამოიყენა პერსონალური სახის წერილების შესადგენად.

მოსამართლემ პერსონალური წერილები დაბეჭდა სასამართლო ბლანკზე, რითაც პირადი მიზნებით გამოიყენა სასამართლო ავტორიტეტი.

### საქმე 30

მოსამართლე ავტომანქანას მართავდა ნასვამ მდგომარეობაში დაუდევრად, რისთვისაც მსჯავრი დაედო.

### საქმე 31

სამოქალაქო საქმის განხილვისას მოსამართლემ ადვოკატს უწოდა უხეში და აუტანელი, შემდეგ გააუქმა თავისივე განჩინება, რითაც დაკმაყოფილებული ჰქონდა ადვოკატის შუამდგომლობა და შემდეგ აიცილა საქმე. კომისიამ აღნიშნა, რომ მოსამართლემ შექმნა შთაბეჭდილება, რომ მან მხარის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო ადვოკატისადმი ნეგატიური დამოკიდებულების გამო.

მოსამართლემ არ დაამტკიცა ბრალდებასა და დაცვას შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება, განაცხადა, რომ პროკურორს თავში ტვინის ნაცვლად თივა უნდა ჰქონოდა ამგვარ შეთანხმებას, რომ მოაწერა ხელი. მოსამართლემ უხეშად და უპატივცემულოდ მოიხსენია პროკურორი, მხარეები რამდენიმე საქმეზე.

### საქმე 32

ბრალდებულს, რომელსაც ემსახურებოდა სახაზინო ადვოკატი, მოსამართლემ უთხრა ”შენ იღებ იმას, რასაც იხდი”, მოსამართლის კომენტარი მიანიშნებდა იმას, რომ უფასო იურიდიული მომსახურება არის დაბალი ხარისხის. კომისიის აზრით ასეთი კომენტარი ნეგატიურ გავლენას ახდენს ადვოკატი-კლიენტის ურთიერთობაზე და ძირს უთხრიდა სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულებისადმი მოქალაქეთა ნდობას.

საოჯახო ძალადობის საქმის განხილვისას მოსამართლემ განაცხადა, რომ ეს იყო დროის ფუჭი ფლანგვა ”იდიოტობა” .

ოჯახური ძალადობის სხვა საქმის განხილვისას მოსამართლემ განაცხადა, რომ ეს არის მორიგი შემთხვევა, როცა ჩვენ ვანგრევთ პირად ურთიერთობებს ადამიანებს შორის. კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლემ გამოხატა მიკერძოება.

სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც ჯანმრთელობის დაზიანებას და ცემას ეხებოდა, მოსამართლემ განაცხადა, რომ მოცემულ სიტუაციაში მისი ვაჟიც ისე მოიქცეოდა, როგორც მოიქცა ბრალდებული. კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლემ გამოხატა წინასწარი განწყობა და მიკერძოება საქმის მიმართ.

### საქმე 33

მოსამართლემ გააჭიანურა საქმის წარმოება 21 სამოქალაქო საქმეზე. მოსამართლემ გააჭიანურა ბაჟისგან გათავისუფლების შუამდგომლობის დროული განხილვა.

ხელფასის ასაღებად მოსამართლემ წარადგინა ცრუ დეკლარაცია, თითქოს მას წარმოებაში არ ჰქონდა ვადაგადაცდილებული საქმეები. კომისიამ მხედველობაში მიიღო, რომ მოსამართლე არის აღიარებული და გამორჩეული იურისტი, რომელიც აღიარებს მის მიერ ჩადენილ გადაცდომას.

#### საქმე 34

მოსამართლემ სამოქალაქო საქმის განხილვისას მხარეებს არ გაუმხილა ის ფაქტი, რომ მას დიდი ხნის პირადი ურთიერთობა აკავშირებდა მხარის ადვოკატთან.

ასევე ამ საქმის განხილვისას, მოსამართლე პირადად ახლდა საქმეში მონაწილე ადვოკატის მდივანს საშობაო დღესასწაულზე.

ერთ-ერთი საქმის განხილვისას მხარეებს მოსამართლემ არ გაუმხილა, რომ საქმეში მონაწილე ერთ-ერთი მხარე იყო მისი ყოფილი დამსაქმებელი.

#### საქმე 35

მოსამართლე, რომელიც ავტომანქანას მართავდა ნასვამ მდგომარეობაში შეეჯახა კედელს და დააზიანა მოქალაქის საკუთრება, შემდეგ გააგრძელა სვლა და ჩავარდა თხრილში. მოსამართლემ ადგილზე მისულ პატრულის თანამშრომლებს უთხრა, რომ ის არ მართავდა ავტომანქანას, ასევე უთხრა, რომ მისი ქმარი იყო სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. ის შეეცადა თავისი და ქმრის თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით თავი დაეღწია დაკავებისთვის, თუმცა მაინც იქნა დაკავებული. კომისიამ გაითვალისწინა ის, რომ თანამდებობის გამოყენება შეღავათის მისაღებად აღმოჩნდა წარუმატებელი ცდა. მოსამართლემ აღიარა ჩადენილი გადაცდომა და ადგილობრივ საზოგადოებას ბოდიში მოუხადა გაზეთის საშუალებით.

#### საქმე 36

მოსამართლე, რომელიც ავტომანქანას მართავდა ნასვამ მდგომარეობაში გააჩერეს და დააკავეს პატრულის თანამშრომლებმა. ის შეეცადა თავის დაღწევას თანამდებობის გამოყენებით. კომისიამ გაითვალისწინა, ის რომ ამ ინციდენტის შესახებ მოსამართლემ თავად აცნობა კომისიას.

#### საქმე 37

მოსამართლე მსჯავრდებულ იქნა არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის შემცველი მასალის შენახვისათვის.

#### საქმე 38

მოსამართლე ამცირებდა, ადვოკატებს, მხარეებს, მოწმეებს. ერთ-ერთ საქმეში მან განაცხადა რომ ბრალდებული იტყუებოდა, რითაც გამოავლინა წინასწარ შექმნილი მოსაზრება და შექმნა მიკერძოებულობის შთაბეჭდილება.

#### საქმე 39

მოსამართლე თავისთავზე იწერდა თავისი მეგობრების საქმეებს (წვრილმანი საგზაო დარღვევები). იხილავდა დაჩქარებული და ზოგ შემთხვევაში შეღავათიანი პროცედურებით. კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლემ შექმნა მართლმსაჯულების 2-კვალიანი სისტემა, სადაც მეგობრებს შეღავათებს თავაზობდა.

#### საქმე 40

მოსამართლემ განსჯადობის დარღვევით თავის თავზე მიიწერა და განიხილა მეგობრის და ნაცნობების საქმეები (საგზაო დარღვევები). მოუხსნა მათ ჯარიმები და შეუფარდა მსუბუქი სახდელები.

მოსამართლემ დაურეკა ადგილობრივ პოლიციას და სთხოვა გაეუქმებინათ მის შვილზე გამოწერილი ჯარიმები.

ის დაუპირისპირდა და უპატივცემულოდ მიმართა პროკურატურის წარმომადგენელს, რომელმაც მოითხოვა მის მიერ არასწორად განხილული საქმის მასალები.

#### საქმე 41

სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მოსამართლემ პოტენციურ ნაფიც მსაჯულებს მიუთითა, რომ თუ ისინი იყვნენ რასობრივად მიკერძოებული, მაგრამ არ შეეძლოთ ამის გამხელა, მათ უფლება ეძლეოდათ მოეფიქრებინათ რაიმე მიზეზი, რათა გათავისუფლებულიყვნენ ნაფიც მსაჯულთა მოვალეობისაგან.

კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლემ მსაჯულები წააქეზა ფიცის დარღვევისაკენ.

მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულების წაქეზება სიცრუისაკენ, რა მიზნისკენაც უნდა ყოფილიყო მიმართული არღვევდა მართლმსაჯულების განხორციელების ფუნდამენტურ პრინციპს, ის ასევე წარმოქმნიდა გონივრულ ეჭვს შერჩეულ ნაფიც მსაჯულთა მიკერძოებაზე და არღვევდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე კონსტიტუციურ უფლებას.

#### საქმე 42

მოსამართლემ ბრალდებულს შეუფარდა პატიმრობა სხდომაზე გამოუცხადებლობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული იმ კონკრეტული დროისათვის სხდომაზე არ იყო დაბარებული. (2 ეპიზოდი) მოსამართლემ არ მოისმინა ბრალდებულის არგუმენტები სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზებთან დაკავშირებით. კოლეგიამ ჩათვალა, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება სამართლებრივად იყო მცდარი, ასევე არღვევდა ბრალდებულის უფლებას იცოდეს რაში ედება ბრალი.

მოსამართლემ წინა სასამართლო სხდომაზე ბრალდებულს უთხრა, რომ ის საპროცესო შეთანხმების უფრო შეღავათიან პირობებს მოგვიანებით ვეღარ მიიღებდა. კომისიამ ჩათვალა, რომ ეს მითითება არ ასახავდა რეალურ სასამართლო პრაქტიკას და შეიცავდა ბრალდებულზე ზეწოლის პოტენციურ საფრთხეს.

#### საქმე 43

სექსუალური ძალადობის საქმეზე მოსამართლე ცალკე შეხვდა დაზარალებულს, შეაქო ის და აღუთქვა მას დახმარება. კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლის ქცევა შეიძლებოდა მოტივირებული ყოფილიყო ჰუმანური მოსაზრებებით, მაგრამ მისი მიუკერძოებლობა იწვევდა ეჭვს ობიექტური დამკვირვებლის თვალში.

სასამართლო მოხელემ (მდედრობითი სქესის) რომელიც დაბრუნდა შუადღის შესვენებიდან, მოსამართლის წინაშე მოიბოდიშა, რომ ის იყო სპორტულეზში გამოწყობილი. მოსამართლემ

უთხრა, რომ ის კარგად გამოიყურებოდა, სახეზე ხელი მოუსვა და უთხრა ”შენ ძალიან ლამაზი ხარ”.

კომისიამ დაასკვნა, რომ მოსამართლის ქმედება წარმოადგენდა არაჯეროვან ქცევას.

მას შემდეგ რაც ბრალდებული გავიდა დარბაზიდან, მოსამართლემ დამსწრეთა გასაგონად განაცხადა, კარგი იქნებოდა მას კბილები გაესწორებინა.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დასრულებისას, მოსამართლემ მადლობა გადაუხადა ადვოკატებს, იმისათვის, რომ მან არ აიცილა კონკრეტული ნაფიცი მსაჯული (მდედრობითი სქესის), ვინაიდან ის იყო ძალიან კარგი საცქერი.

კომისიამ ჩათვალა, რომ მოსამართლის ქცევა შეიძლება ყოფილიყო უწყინარი ხუმრობა, მაგრამ ობიექტური დამკვირვებლის თვალში მას შეეძლო შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მოსამართლეს გაუჩნდა პერსონალური ინტერესი ამ საქმეში.

მოსამართლემ სასამართლო შემოსასვლელში მდგომ ქალ მანდატურს უთხრა, რომ კარგი იქნებოდა მასაც თუ გაჩხრეკდნენ, ოღონდ საკუთარ კაბინეტში.

მოსამართლე დაუქორწინებელ ადვოკატს ეხმარებოდა საცოლის მოძებნაში, რისთვისაც მას მიაწოდა მანდილოსნების კონტაქტები. მოგვიანებით მოსამართლემ არ აიცილა საქმე ამ ადვოკატის მონაწილეობით და არ განუცხადა მხარეებს მისი და ადვოკატის ნაცნობობის შესახებ.

#### **საქმე 44**

მოსამართლე მსჯავრდებულ იქნა ავტომანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვის გამო. მოსამართლემ თავისი ნასამართლობის შესახებ არ შეატყობინა კომისიას, რითაც დაარღვია ეთიკის კოდექსის მოთხოვნა.

#### **საქმე 45**

საარჩევნო კამპანიის წარმოებისას მედიასთან ურთიერთობის დროს უარყო ის ფაქტი, რომ ის იყო დისციპლინური წესით სახდელდადებული, რაც წარმოადგენდა სიმართლეს (სხვა ბრალდებებთან ერთად)

მოსამართლემ სასამართლო აპარატი გამოიყენა თავისი საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად.

#### **საქმე 46**

მოსამართლეს სხდომის ოქმში შეჰქონდა ცრუ ინფორმაცია, თითქოს ბრალდებული უარს ამბობდა მისი საქმის დაჩქარებული წესით განხილვაზე, რისის უფლებაც მათ კანონით ჰქონდათ. მაშინ, როცა ასეთი უარი ბრალდებულებს რეალურად არ განუცხადებიათ. კომისიამ ჩათვალა, რომ ეს არ იყო უბრალოდ სამართლებრივი შეცდომა, არამედ ის ხელყოფდა ბრალდებულის კონსტიტუციურ უფლებებს.